

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი

დოქტორანტი      ვანდა მუჯირი

I სემინარის თემა:      კომპოზიციის სწავლების მეთოდოლოგია  
ისტორიულ ასპექტში

სადისერტაციო თემა:      არქიტექტურული კომპოზიციის  
სწავლების მეთოდოლოგია

დოქტორანტი

ვ. მუჯირი

ხელმძღვანელი

პროფ. ნ. თევზაძე

## კომპოზიციის სწავლების მეთოდოლოგია ისტორიულ ასპექტში

### შესავალი

XX საუკუნემ ჩამოაყალიბა არქიტექტურულ-მხატვრული ფორმათწარმოქმნის ახალი სკოლა, რომელიც განსხვავდება აკადემიური ტრადიციებისგან და გახდა მსოფლიო მხატვრული კულტურის აღიარებული მემკვიდრეობა. წინათ, საუკუნეების მანძილზე არქიტექტურაში ნარჩუნდებოდა ტრადიციული, მიღებული კომპოზიციური ხერხები, სახეები და სტილები, შესაბამისად ორიენტირებული არქიტექტურულ-პედაგოგიური შეხედულებები, რომლებზეც იგებოდა დამკვეთმარებლების ახალი თაობების პრაქტიკული მომზადება. ასწლეულების გასაყარზე მოხდა გარდატეხა; მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა და სოციალურ-საზოგადოებრივი პირობების შეცვლამ დაანგრია ძველი ესთეტიური ნორმები და მხატვრული პრინციპები. შეცვლილი გარემოებების გათვალისწინებით დაიწყო უახლესი დროის, პრინციპულად ახალი არქიტექტურის ფორმირება. თანამედროვე მხატვრული სისტემის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის არქიტექტურულ სკოლას, რომელმაც გამოხატა ფორმათწარმოქმნის ნოვატორული, კონცეპტუალური იდეები. აუცილებელი გახდა შინაარსობრივი მასალის ტრანზფორმაცია, პედაგოგიური პრაქტიკის გათვალისწინებით. ამისთვის დამახასიათებელი იყო თანამედროვე ფორმათწარმოქმნის სკოლის მიმართვა პროპედევტიკული მოდელისადმი, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული განათლების პირველი ეტაპიდან საპროექტო ამოცანების გადაწყვეტაში მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის საგნის გამოყოფას და მის გამოყენებას შემოქმედებითი იარაღის სახით. არქიტექტურული პედაგოგიკის სფერო ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე შესწავლილი.

XXI-ე საუკუნეში არქიტექტურის განვითარების პერსპექტივა, რომელიც უნდა პასუხობდეს ცივილიზებული საზოგადოების მაღალ მოთხოვნებს, პირდაპირ დამოკიდებულია მომავალი არქიტექტორების პროფესიული დაოსტატების დონეზე. ამიტომ არქიტექტურული სკოლის მოღვაწეობის დახვეწისათვის აუცილებელი პირობაა ცხოვრებისეული

რეალიების ცვალებადი ტენდენციების გათვალისწინება. აქედან გამომდინარე, სწავლების მოსამზადებელი კურსი აღმოცენებული XX საუკუნის ფორმათწარმოქმნის პრაქტიკაზე, მეტად საპასუხისმგებლო ხდება, ვინაიდან ის ქმნის საფუძველს, რომელზეც უნდა დაფუძნდეს ყოველი არქიტექტორისათვის აუცილებელი პროფესიული ცოდნისა და ჩვევების მთელი შემდგომი არსენალი. ამასთან ერთად, დღემდე ჯერ კიდევ არ არსებობს მკაფიო და ერთიანი აზრი, თუ როგორ უნდა ყალიბდებოდეს სასწავლო პროცესი და როგორი უნდა იყოს მისი საწყისი ეტაპი. არსებობს მოსაზრება, რომ შესაძლებელია სტუდენტის კონკრეტული არქიტექტურული მოღვაწეობის ატმოსფეროში თავიდანვე ჩართვა ანუ მარტივიდან უფრო რთულ ამოცანებამდე. სხვა მოსაზრება გულისხმობს პროფესიული არქიტექტურული მოღვაწეობის დაუფლებას თავიდან სივრცული ფორმათ-წარმოქმნის საერთო ფორმალისებული არქიტექტურული საშუალებებით და მეთოდებით, რომლებიც შემდგომ თანდათანობით კონკრეტული პირობებითა და ფაქტორებით შეივსება. ორივე შემთხვევაში გამოიყენება არქიტექტურული მოღვაწეობის პრაქტიკულ-ხელობითი ფორმა, ვინაიდან არქიტექტურა უბრალოდ ითხოვს შეგრძნებებზე დაფუძნებულ პრაქტიკას, ანუ უშუალო მუშაობას ხელოვნების გამომსახველობითი ხერხებით.

*პროპედევტიკა - (წინასწარ ვასწავლი, პრო+პაიდევტიკოს - ძვ. ბერძნულიდან) - შესავალი რომელიმე მეცნიერებაში ან ხელოვნებაში, მეცნიერებისა ან ხელოვნების ელემენტარული ფორმით შეკვეცილი სისტემატური გადმოცემა, შესავალი (მოსამზადებელი) კურსი, რომელიც წინ უძღვის საგნის უფრო ღრმა შესწავლას)*

*კომპოზიცია - წარმოსდგება ლათინური სიტყვისგან - შეერთება, კავშირი და აღნიშნავს საშუალებათა სისტემას, რომლითაც მიიღწევა მთლიანობა.*

*“არქიტექტურული კომპოზიცია” განისაზღვრება, როგორც ფორმების ერთიანი მხატვრულ-გამომსახველობითი სისტემა, რომელიც პასუხობს ფუნქციურ და კონსტრუქციულ-ტექნიკურ მოთხოვნებს [1].*

ტერმინი “არქიტექტურული პროპედევტიკა” უკვე მრავალი წელია დამკვიდრდა არქიტექტურულ-პედაგოგიურ ლექსიკონში, განსაკუთრებით პედაგოგებში, რომლებიც მუშაობენ არქიტექტურული სპეციალობის უმცროს კურსებთან. ჩვეულებრივ ასე უწოდებენ სავარჯიშოების სისტემას, რომელიც ასრულებს მნიშვნელოვან როლს მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის დაუფლებაში. თავისი საწყისი ფსიქო-პედაგოგიური მნიშვნელობით პროპედევტიკულ კურსს უწოდებენ სასწავლო მოქმედებების კრებულს, რომელიც შეიცავს შეკვეცილი ფორმით სისტემურად გადმოცემულ მოსამზადებელ მასალას და ხელს უწყობს სტუდენტში პროფესიული თვისებების ფორმირებას. ირკვევა, რომ მათ გარეშე შეუძლებელია ან ძალიან გართულებულია მთავარი პროფესიული კურსის ეფექტური ათვისება. არქიტექტურული გეგმარების დისციპლინის ათვისებისთვის აუცილებელია სტუდენტში საწყისი ჩვევების ფორმირება - ფორმის შექმნის უნარი, მისი კომპოზიციური ორგანიზება და მისი გადატანა არქიტექტურულ ნახაზებში.

ცნება არქიტექტურული “პროპედევტიკა” გამოყენებულია, როგორც საწყის ეტაპზე პროფესიული არქიტექტურული პროექტირების საფუძვლების და მხატვრული კომპოზიციის სწავლების მეთოდი. აკადემიკოსი ა. სტეპანოვი წერს: “უნდა აღინიშნოს, რომ ცნება “მოცულობით-სივრცითი კომპოზიცია” თავის შინაარსით უფრო ვიწროა ცნებაზე - “არქიტექტურული კომპოზიცია”. არქიტექტურული კომპოზიცია პასუხობს სხვადასხვა ფაქტორების მთელ კომპლექსს – სოციალური, ფუნქციონალური, ეკონომიკური, კონსტრუქციული და ა.შ. მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის მიზნები გაცილებით მოკრძალებულია – ადამიანის მხედველობით აღქმაზე და ფსიქო-ფიზიკურ მონაცემებზე დაყრდნობით შეისწავლოს და გაითავისოს, თუ როგორ შეიძლება მხოლოდ სივრცითი ფორმების რაოდენობრივ ცვლილებებზე და შეფარდებაზე დაყრდნობით მივიღოთ ემოციურ-გამომსახველობითი და შინაარსიანი მოცულობით-სივრცითი კომპოზიცია (ზომა, წონა, მოცულობა, სივრცეში განლაგება, პროპორციები და ა.შ.). [2]

არქიტექტურულ პროპედევტიკაში, რომელმაც XX საუკუნეში მიიღო დიდი აღიარება, გამოიყენება თავისებური კომპოზიციური პრაქტიკები, რომელშიც აბსტრაქტულ-ვიზუალური ანალიტიკა ერწყმის მხატვრული შემოქმედების ინტუიციაზე დაფუძნებულ ცოცხალ, მატერიალიზებულ ფორმას. თუმცა კომპოზიციის სწავლების ტექნოლოგია ხშირად გამომუშავდება ინტუიციურად, ცდების გზით და დაფუძნებულია საღ აზრზე. თეორიულ სწავლებაში ჭარბობს ფრაგმენტულობა, შეხედულებათა სხადასხვაობა. “სტუდენტებში არქიტექტურული პროფესიული შეხედულებები უმეტესად სტიქიურად ყალიბდება და არ ფორმირდება მიზანმიმართულად, რაც დამახასიათებელია ნაკლებ ეფექტიანი სწავლებისათვის”. [3] არსებობს აზრთა სხვადასხვაობა “პროპედევტიკის” ცნების განსაზღვრაში. არ არის გამოვლენილი კავშირი სკოლას, უმაღლეს სასწავლებელსა და საპროექტო პრაქტიკას შორის. ჩნდება არსებული გამოცდილების გააზრებისა და თანამედროვე მეცნიერული ცოდნის გათვალისწინებით თეორიულ განზოგადობაზე გასვლის აქტუალური მოთხოვნილება. ამან ხელი უნდა შეუწყოს არქიტექტურული პროპედევტიკის კონცეფციის, როგორც XX საუკუნის კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილის, ფორმულირებას, ასევე სტუდენტების პროფესიული მომზადების მთელი სისტემის დახვეწას, განსაკუთებით მხატვრულ-შემოქმედებითი აღქმის თვალსაზრისით. უტილიტარულ-პრაქტიკული ფაქტორები მნიშვნელოვანია გეგმარებითი ამოცანების ამოხსნისათვის. მათი გათავისება სასწავლო პროცესში გაცილებით ადვილია, ვინაიდან ისინი ეყრდნობა გამოცდილებასა და ცოდნას, რომელთა ფორმულირება ხდება ერთმნიშვნელოვნად და ზუსტად სამეცნიერო მეთოდებით. მხატვრულ ნაწილში კი ყველაფერი გაცილებით რთულია, ვინაიდან აქ მოქმედებს დამატებითი სუბიექტური ფაქტორები, რომლებიც ეფუძნება პიროვნების თვისებებს. აქიტექტურული სკოლა დგას ურთულესი ამოცანის წინაშე, რომელიც გულისხმობს სტუდენტის აქტიურ ჩაბმას არქიტექტურის მხატვრულ სამყაროში. კომპოზიციის ფორმალურ-ანალიტიკური შემოქმედებითი მეთოდის გამოცდილება, რომელიც ბოლო ასწლეულის მანძილზე იყო გაბატონებული და რომლის გამოხატულება იყო პროპედევტიკული

მიდგომა, დღეს მნიშვნელოვანია მრავალი პრაქტიკული საკითხის გადაწყვეტისათვის.

ჩვენის აზრით არქიტექტურული პროპედევტიკა უნდა წყვეტდეს რამდენიმე საბაზისო ამოცანას:

1. სტუდენტში პროფესიული ჩვევების ფორმირება, რათა მან შეძლოს თავისი ჩანაფიქრის ნახაზში გადატანა (არქიტექტურული გრაფიკა);
2. ელემენტარული პროფესიული წარმოდგენების ფორმირება, რათა სტუდენტმა შეძლოს მარტივი მოცულობით-სივრცითი სახეების გენერირება, მათი საგნობრივი წარმოჩენა ესკიზური გრაფიკის საშუალებებით და ესკიზური კომპოზიციური ძიების საშუალებების დაუფლება;
3. შექმნილი ნამუშევრის კომპოზიციური ანალიზის საწყისი ჩვევების და ჩანაფიქრის ფორმის კონცეფციამდე მიყვანამდე მისი კორექტირების უნარის ფორმირება.

აქედან გამომდინარე, არქიტექტურული პროპედევტიკის კურსი უნდა წარმოადგენდეს საპილოტო პროექტირების ვარიანტს, რომელიც მოიცავს საპროექტო ტექნოლოგიის ყველა კომპონენტს: დავალება, ესკიზურ-კომპოზიციური ძიება, იდეის ჩასახვა, მისი მიყვანა ფორმის კონცეფციის დონემდე და დაპროექტებული ნახაზების შესრულება (გეგმები, ფასადები, ჭრილები).

გამომდინარე იქიდან, რომ დღეისათვის ცნებას “პროპედევტიკა” აქვს ტენდენცია გაფართოებისა და მეტაფორიზაციისაკენ, აუცილებელია ზუსტად მოხდეს მისი გამოყენების გამიჯვნა და მიეთითოს მოქმედების სფერო, სადაც ეს პრობლემატიკა განსაკუთრებით აქტუალურია და დაკავშირებულია მხოლოდ სკოლასთან.

## ისტორიული ასპექტი

XX საუკუნის დასაწყისში გერმანიაში ყალიბდებოდა არქიტექტურული პროპედევტიკის საფუძვლები ბაუჰაუზის სკოლაში, რომლის ლიდერმა ვალტერ გროპიუსმა შეიმუშავა, ჩამოაყალიბა და პრაქტიკაში დანერგა ბაუჰაუზის პროგრამა. ამ სკოლის პროპედევტიკული მომზადება დაკავშირებულია პირველ რიგში ცნობილი პედაგოგების ი. იტტენის, ლ. მოგოლ-ნადის, ი. ალბერსის სახელებთან. ბაუჰაუზის პროპედევტიკისთვის დამახასიათებელია მისი ავტორების ინდივიდუალური შემოქმედება. ამ სკოლაში ასევე ასწავლიდნენ ცნობილი მხატვრები – ვ. კანდინსკი, კლეე, მონდრიანი, ფაინინგერი და სხვა. მხატვრული ფორმის ძიების პროცესში ექსპერიმენტების შედეგები და მიგნებები მათ გადაჰქონდათ კომპოზიციის პროპედევტიკული კურსის შინაარსში. აქ ისწავლებოდა ჰარმონიის, რითმის, პროპორციების, სიმეტრიის, მასშტაბის, კოლორიტის კანონები. ბაუჰაუზის მთავარი პოსტულატი იყო ახალი ტიპის ხელოვანის აღზრდა, მხატვრის განვითარებული შემოქმედებითი აზროვნებით. ყველა სავარჯიშო მიმართული იყო ინდივიდუალური ძიებებისკენ გამოცდილი მხატვარ-პედაგოგის ხელმძღვანელობით. ასე, რომ კომპოზიციური შემოქმედებითი პრაქტიკაში წარმოადგენდა საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით კომპოზიციური ანბანისა და ფორმაწარმოქმნის ცნებების საფუძველს.

შეიძლება ითქვას, რომ ბაუჰაუზის პროპედევტიკა არ არის მთლიანი, დასრულებული სისტემა მკვეთრი მეთოდოლოგიით, მაგრამ ის წარმოადგენს იმპროვიზაციათა ჯაჭვს, რომელიც მისი შემქმნელების ხედვასა და გემოვნებას ეხმიანება.

ბაუჰაუზის სკოლის პარალელურად არქიტექტურული პროპედევტიკა ყალიბდებოდა და ვითარდებოდა რუსეთში BXYTEMAC-ის კედლებში XX საუკუნის 20-იანი წლებიდან. ეს იყო უმაღლესი სამხატვრო სკოლა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ახალი მხატვრული კულტურის, თანამედროვე მხატვრული სკოლის, ავანგარდული არქიტექტურის, მრავალი გამოყენებითი ხელოვნების სახეობების, დიზაინის ჩამოყალიბებაში.

ამ სკოლის უდიდესი წვლილია საბაზისო პროპედევტიკული კურსების შემუშავება ყველა პროფილური ფაკულტეტისთვის. BXYTEMAC-ის ხელმძღვანელებს შორის იყვნენ როგორც სწავლების ტრადიციული მეთოდების მიმდევრები, ასევე ნოვატორები, რომლებიც ეძებდნენ ახალ გზებს ხელოვნებაში და პედაგოგიკაში (ტატლინი, კანდინსკი, მალევიჩი და სხვა).

ნოვატორული პედაგოგიური პრაქტიკის ფაქტობრივი მხარე ასახულია BXYTEMAC-ის პროგრამულ დოკუმენტებში, სასწავლო მეთოდულ კომპოზიციურ საგარჯიშოების ფორტოებში, იმ პერიოდის პუბლიკაციებში. ს.ო.ხან-მაგომედოვა შეაგროვა დოკუმენტური მასალა, რამაც დაგვანახა BXYTEMAC-ის წვლილი, შეტანილი XX საუკუნის მსოფლიო მხატვრულ კულტურაში და შესაძლებელი გახდა არქიტექტურული პროპედევტიკის კონცეფციის ანალიზი და განსაზღვრა მისი როლი არქიტექტურული პროფესიული სწავლების თანამედროვე სტრატეგიაში. [4]

20-იან წლებში BXYTEMAC-ის მოღვაწეობის პერიოდში მთავარი კამათი იშლებოდა არქიტექტურაში ფორმათწარმოქმნის კონცეფციების გარშემო, რათა გარკვეულიყო მთავარი მეთოდი (კონსტრუქტივიზმი, ფუნქციონალიზმი, რაციო-არქიტექტურა, ახალი აკადემია, არქიტექტურული ორგანიზმების თეორია და ა.შ.). არქიტექტურული ფორმათწარმოქმნის შემოქმედებითი პოსტულატები გადაჰქონდათ სასწავლო პროცესში, პროფესიის დაუფლების მეთოდულ კომპოზიციურ პროცესში, პროფესიის დაუფლების მეთოდულ კომპოზიციურ პროცესში. ლადოვსკი-კრინსკი-დოკუჩაევის არქიტექტურული პროპედევტიკის სკოლის ბაზას წარმოადგენს რაციო-არქიტექტურის თეორიული საფუძვლები. [5] გოლოსოვის მეთოდის ბირთვია არქიტექტურული ორგანიზმების თეორია. არქიტექტურული ფორმათწარმოქმნის შემუშავება კონსტრუქტივიზმის პოზიციიდან ხდებოდა გინსბურგის, ვესნინის და სხვათა მიერ. სასწავლო კურსი “სივრცის” ავტორები (ვ.ს. ბარხინი, მ.ა. ტურკუსი, მ.პ. კორჟევი, ვ.ფ. კრინსკი, ი.ვ. ლამცოვი) ქმნიდნენ არქიტექტურული კომპოზიციის ახალ თეორიას, რომელიც მიმართული იყო ობიექტების მოცემულობების შექმნაზე მორფოლოგიური ტიპებისა და მათი ელემენტების სახით, ესთეტიურ კრიტერიუმებზე შემდგომი გასვლით. [6,7] ასე შეიქმნა საერთო მხატვრული არქიტექტურული



პროპედევტიკის საფუძვლები და შეთავაზებულ იქნა არქიტექტურული ფორმათწარმოქმნის თეორიული საკითხები.

30-იან წლებში BXYTEMAC-ისა და ბაუჰაუზის დაშლის შემდეგ არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის გეგმაზომიერი კვლევები საბჭოთა კავშირში განახლდა 60-იანი წლების მე-2 ნახევრიდან, მაშინ, როდესაც აღდგა მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის კურსი.

არქიტექტურული ფორმათწარმოქმნის თეორიის განვითარება პედაგოგი არქიტექტორების ძალებით კომპოზიციის ცნებების (სივრცე, მოცულობითი ფორმები, რითმი, პროპორცია და ა.შ.) დაუფლების სხვადასხვა მეთოდების კვლევის პარალელურად ხდებოდა (ვ. მალიგინი, ა. ნესტერენკო, გ. იგნატოვი, ვ. სონიაკი, გ. ნეგაი, უ. კონოვალოვი, ვ. სადონოვი და სხვა). [8,9,10]

უმაღლესი არქიტექტურული განათლების ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური ბაზა შეიქმნა ნ. ნეჩაევას, გ. ივანოვას, ვ. უსოვის, ვ. მოორის და სხვათა შრომებში. [3,11,12]

არქიტექტორის საპროექტო საქმიანობა გამოკვლეულია ფსიქოლოგიური კანონზომიერებების კუთხით, რამაც საფუძველი ჩაუყარა სასწავლო პროცესის დროს სტუდენტების შემოქმედებითი მონაცემების განვითარების პირობებს და პრინციპებს. გამოკვეთილია პროფესიული ცნებების ფორმირების საწყისი ეტაპის მნიშვნელობა, რომელიც განსხვავდება შემდგომი ეტაპებისგან როგორც ფორმით, ასევე შინაარსობრივად.

რეგიონულ სკოლებში, მაგალითად სვერდლოვსკის არქიტექტურის ინსტიტუტში (ა. კოროტკოვსკი, ს. ზაიკინა, ა. სტარიკოვი და ა.შ.) ფორმათწარმოქმნის ტრადიციული მეთოდის საფუძველზე ხორციელდება მოდელირების მეთოდის განვითარება, საპროექტო-კომპოზიციური ქმედებების პროდუქტიული ფორმების გაძლიერებით. არქიტექტურული პროპედევტიკის ფარგლებში თეორიულ საფუძველს და მეთოდურ ფორმას იძენს ორიგინალური მეთოდი, რომელიც აკავშირებს განზოგადებულ არქიტექტურულ ფორმას რომელიმე კონკრეტული ისტორიული ეპოქის მახასიათებელ ნიშნებთან.

ა. სტეპანოვი, ა. კოროტკოვსკი, ვ. იუვლევი, მ. მეტლენკოვი და სხვები მხატვრული ფორმათწარმოქმნის საწყისი სკოლის პროცედურულ

მხარეს განიხილავდნენ, როგორც მოცულობით-სივრცითი კომპოზიციისა და არქიტექტურული გეგმარების გეომეტრიული მოდელის კავშირს. [13,14,15]

მთელი რიგი ავტორებისა ყურადღებას ამახვილებს მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის ცალკეულ კომპონენტებზე, მათ შორის სიმეტრიაზე და სხვა. ა.გ. შუბნიკოვი, ვ. კოპციკი ნაშრომში “სიმეტრია მეცნიერებაში და ხელოვნებაში” სიმეტრიას განიხილავენ, როგორც ჰარმონიის ერთ-ერთ კერძო შემთხვევას - გარკვეულ მათემატიკურ კანონზომიერებებზე დაფუძნებული ნაწილების ურთიერთშეთანხმებულობა მთელის ფარგლებში. [16]

ნ. სმოლინას ნაშრომში “სიმეტრიის ტრადიციები არქიტექტურაში” განხილულია არქიტექტურული სიმეტრიის გააზრების გამოცდილება კომპოზიციური აზროვნების და თანამედროვე სამეცნიერო შეხედულებების ჭრილში. ასევე განხილულია სივრცის დანაწევრების და სიბრტყეზე გეომეტრიული აგების ჩვეული მეთოდების სემანტიკა. [17]

გ. აზგალდოვი თავის ნაშრომში განიხილავს ესთეტიკური შეფასების პრობლემებს არქიტექტურული კომპოზიციის კატეგორიებისადმი. ავტორი იძლევა არქიტექტურული კომპოზიციის თითქმის ყველა კატეგორიის მეტრი, რითმი, ნიუანსი, კონტრასტი, სიმეტრია, ასიმეტრია, პროპორციულობა, მასშტაბურობა და სხვა) ქვალიმეტრიული შეფასების შესაძლებლობის მაგალითებს. [18]

ს. მაღახოვი, ა. დემბინი, ვ. უსოვი, ვ. მორი და სხვები თავის ნაშრომებში იკვლევდნენ სასწავლო ამოცანის გადაწყვეტისათვის საპროექტო-კომპოზიციური ძიების პროცესს. მათ გამოკვეთეს კომპოზიციური პროცესის ზოგიერთი ეტაპი და შემოგვთავაზეს შესაბამისი სავარჯიშოები ამ ეტაპების ათვისებისათვის. [19,20]

არქიტექტურული განათლების მრავალი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი აღნიშნავს არქიტექტურული გეგმარების მეთოდის ათვისების ერთიანი ხაზის გატარების სირთულეს - პროპედევტიკიდან, როგორც საბაზისო ეტაპიდან შემდეგ ეტაპამდე, რომელიც აერთიანებს ყველა კონკრეტულ ფაქტორს. არქიტექტურული პროექტის ყველა ელემენტისა და ნაწილის კავშირის მნიშვნელობის სრული აღქმისას,

პრაქტიკული რეალიზაცია სერიოზულ მეთოდურ პრობლემად გვევლინება. არქიტექტურული პროპედევტიკის შესწავლის შემდეგ ძალიან ხშირად სტუდენტები განიცდიან გარკვეულ სირთულეებს კონკრეტული თემების პროექტირებაზე გადასვლისას. ა. სტეპანოვი, ნ. ბლოხინი, ბ. ბარხინი, ს. მაღახოვი, ბ. პრონინი და სხვები თავის ნაშრომებში იკვლევდნენ სხვადასხვა დისციპლინების მეთოდურ კავშირს, მათ კოორდინაციას დროისა და შინაარსის მიხედვით. [21,22,23]

მხატვრული ფორმათწარმოქმნის თეორიულ-მეთოდოლოგიური კონცეფციის მდგომარეობის გარკვევისას გამოიყენება მონაცემები დიზაინის სფეროდან. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისის მხატვრული კულტურა, არქიტექტურის მდგომარეობა, მხატვრული განათლება არაერთი მკვლევარის მიერ განიხილებოდა. მათ კვლევებში ნაჩვენებია შექმნილი კრიზისის დაძლევის, აკადემიური დოგმების ნგრევისა და პედაგოგიკის ახალი პრინციპების ძიების ისტორიული აუცილებლობა (ა. ნეკრასოვი, ა. გაბრიჩევსკი, ს. ხან-მაგომედოვი, ი. ნიკოლაევი, ე. რემიზოვა და ა.შ.). [24,25,26]

XX საუკუნის მე-2 ნახევარში დიზაინის პრაქტიკის და მხატვრული კონსტრუირების სკოლის განვითარებასთან დაკავშირებით მხატვრული პროპედევტიკა უფრო დასაბუთებული ხდება (გ. მინერვინი, კ. ზენკევიჩი, ე. როზენბლუმი, ა. მუსკაევა და ა.შ.). მათი მოღვაწეობის შედეგად გამოიკვეთა განსხვავებები მიდგომებში არქიტექტურასა და დიზაინს შორის. [27]

არქიტექტურული კომპოზიციის მეთოდების გამოვლენაში მნიშვნელოვანია შეხედულებები ფორმათწარმოქმნაზე არქიტექტურაში. ლ. პავლოვის, ა. იკონნიკოვის, დ. შვიდკოვსკის, ი. ლეჟავას, ვ. ჰაიტის, ი. არაუხოს, ლე-კორბუზიეს, რ. ბენემის და სხვათა ნაშრომებში წარმოდგენილია როგორც სისტემური თეორიულ-მეთოდოლოგიური შეხედულებები არქიტექტურულ ფორმაზე, ასევე კომპოზიციის ცალკეული კატეგორიების ანალიზი და სტილის წარმოქმნის ასპექტები. ამ საკითხთან პირდაპირ კავშირშია მეცნიერული ცნებები, სადაც კომპოზიციაში აქცენტი გადატანილია შედეგიდან თვით ქმედებაზე (ვ. გროპიუსი, ლე-კორბუზიე, ნ. ლადოვსკი, ჯ.კ. ჯონსი, ვ. გლაზიჩევი,

ბ. ბარხინი, უ. სომოვი, ს. მაღახოვი). ამ ცნებების საფუძველზე შესაძლებელი ხდება მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის პროპედევტიკული მასალის გააზრება. [28,29,30]

ქმედების (მოღვაწეობის) თეორიის ცნებები შესაძლოა გახდეს საფუძველი პროფესიული და შემოქმედებითი საშუალებების გადატანისა სასწავლო სიბრყეში (ს. რუბინშტეინი, ა. ლეონტიევი, პ. გალპერინი, მ. კაგანი, ვ. დავიდოვი და სხვა). ქმედების თეორია იხილავს ქმედების სტრუქტურას, მის სახეობებს, (მათ შორის საპროექტო გეგმარებითს), ათვისებისა და ასახვის მექანიზმებს, მეთოდოლოგიის მნიშვნელობას ამ პროცესში. [31,32,33]

სხვა შემთხვევაში არქიტექტურულ პროპედევტიკას განიხილავენ, როგორც რაციო-არქიტექტურის კონცეპტუალურ პოსტულატს (ლადოვსკის სკოლა) და საერთოდ, როგორც შემოქმედებით-საბაზისო ინსტრუმენტს უახლესი დროის არქიტექტურული სტილის შემუშავებაში.

ე. რემიზოვას შეთავსებული აქვს BXYTEMAC-ის და ბაუჰაუზის ფორმალური პროპედევტიკული დისციპლინები კომპოზიციური მუშაობის ფორმალურ მეთოდებთან. იგი თვლის, რომ ჩვენ დროში ჩამოყალიბდა კომპოზიციური აზროვნების ახალი ტიპი – ისტორიულ-ასოციაციური, მეტაფორული, სასცენო-დრამატურგიული, რასაც შედეგად უნდა მოჰყვეს არქიტექტურული კომპოზიციის საბაზისო ელემენტების შეცვლა. [34]

ა. იკონნიკოვი პროპედევტიკაში ასევე ხედავს 20-იანი წლების რაციონალური არქიტექტურის მხატვრული კონცეფციის გამოხატულებას.

საქართველოში არქიტექტურული კომპოზიციის კურსის სწავლების მეთოდიკის ძიებები დაიწყო 1970-იან წლებიდან.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის ე. ფიფიას წიგნი “არქიტექტურული კომპოზიციის შესავალი” იმ მეთოდიკის წარმოჩენის პირველ მცდელობას წარმოადგენს, რომელიც დამკვიდრდა XX საუკუნის 70-იან წლებში და გარკვეული სახეცვლილებებით მოვიდა დღემდე. ეს მეთოდიკა ახლოს დგას MAPXI-სა და სხვა საბჭოთა არქიტექტურული სკოლების მეთოდიკებთან. სწავლების

პრინციპია – პრაქტიკიდან თეორიისაკენ და ჰარმონიის კანონების თანდათანობით შემეცნებისაკენ. შემუშავებულია პრაქტიკული საგარჯიშოების სისტემა, რომელიც დაყოფილია ოთხ ჯგუფად და დღემდე წარმოადგენს მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის სწავლების საფუძველს საქართველოში. [35]

- **პრაქტიკული საგარჯიშოების პირველი ჯგუფი:**  
სიბრტყითი შავ - თეთრი კომპოზიციების შექმნა, მკვეთრად გამოხატული გეომეტრიზმით.  
**საგარჯიშოების მიზანია** – სივრცის აგებისა და ორგანიზაციის კანონების შეცნობა.
- **პრაქტიკული საგარჯიშოების მეორე ჯგუფი:**  
სიბრტყითი კომპოზიციების შექმნა, რომლებიც გამოირჩევა ფერთა სიუხვით, მოტივებისა და მოხაზულობის მრავალფეროვნებით.  
**საგარჯიშოს მიზანია** - ფერის შესაძლებლობათა შეცნობა არქიტექტურულ შემოქმედებაში.
- **პრაქტიკული საგარჯიშოების მესამე ჯგუფი:**  
მოცულობითი კომპოზიციები, კომპოზიციები სივრცეში, რომლებიც გამოირჩევიან მრავალფეროვანი ტექტონიკური ფორმებით.  
**საგარჯიშოს მიზანია** – სივრცითი ფორმაწარმოქმნის კანონების არსში ჩაწვდომა
- **პრაქტიკული საგარჯიშოების მეოთხე ჯგუფი:**  
სივრცითი მრავალპლანიანი კომპოზიციების შექმნა, რომლებიც გამოირჩევა მოცულობითი ფორმების ტექტონიკით, ფერთა სიუხვით და მოტივებისა და კონფიგურაციების მრავალფეროვნებით.  
**საგარჯიშოს მიზანია** - თანადაქვემდებარებული ფორმებისა და სივრცეების ორგანიზაციის კანონების შეცნობა, კომპლექსის, ანსამბლის, როგორც მთლიანის, ერთიანის მცნებების გაცნობა.

პროფესორ შ. ბოსტანაშვილის მეთოდის კურსი მიზნად ისახავს საგანთა ფარულ მეტაფიზიკურ არსში შეღწევის სურვილს, ახალ ფასეულობათა დანახვას და წარმოჩენას. მისი კვლევის საგანია გაარკვიოს რა არსებითი კავშირებია კომპოზიციისა და ხელოვნური გარემოს ფორმირების პროცესს შორის, ანუ შეიძლება თუ არა შეიქმნას დაპროექტებისათვის მეთოდის კომპოზიციურ საწყისზე. [36]

## ნაშრომის აქტუალობა

ზემოთ ჩამოთვლილი კვლევების მიუხედავად არ არსებობს საფუძველი იმის მტკიცებისა, რომ დღეს არსებობს ერთიანი შეხედულება მხატვრული ფორმათწარმოქმნის არქიტექტურულ სკოლაზე, რომელიც ჩამოყალიბდა XX საუკუნეში და გახდა მსოფლიო მხატვრული კულტურის მნიშვნელოვანი მოვლენა. ამასთან ერთად დაგროვილი მასალის მოცულობა, მრავალი თეორიული იდეა და მეცნიერული შეხედულება შეიძლება გახდეს მისი შემუშავების საფუძველი.

გამომდინარე ზემო თქმულიდან, ირკვევა, რომ არქიტექტურული პროპედევტიკა, რომლის საფუძველია მოცულობით-სივრცითი კომპოზიცია, არის ძალიან მნიშვნელოვანი მომავალი არქიტექტორების ჩამოყალიბებისათვის, პროფესიული თვისებებისა და ჩვევების დაუფლებისათვის. ტექნიკური პროგრესი და არქიტექტურაში ახალი მასალებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენება მოითხოვს სწავლების ტრადიციულ მეთოდოლოგიის მოდერნიზაციას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. სწორედ ეს განსაზღვრავს ჩვენი შრომის მიზანს და ამოცანებს.

## კვლევის მიზანი და ამოცანები

### *მიზანი*

შრომის მიზანს წარმოადგენს არქიტექტურული პროპედევტიკის აქამდე არსებული სასწავლო თეორიებისა და მეთოდოლოგიების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე თანამედროვე და ორიგინალური მეთოდების გამოყენებით მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის ეფექტიანი სასწავლო პროგრამის შემუშავება, რომელიც საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად მომავალი არქიტექტორების ოპტიმალური მომზადების საშუალებას მისცემს სასწავლო დაწესებულებებს.

## *ამოცანები*

- არქიტექტურული პროპედევტიკის აქამდე არსებული სასწავლო თეორიებისა და მეთოდოლოგიების მიმოხილვა;
- არქიტექტურული პროპედევტიკის აქამდე არსებული სასწავლო თეორიებისა და მეთოდოლოგიების კრიტიკული ანალიზი;
- თანამედროვე და ორიგინალური (საკუთარი) მეთოდების ადრე არსებულ საუკეთესო მეთოდებთან ინტეგრაციის საფუძველზე მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის ახალი სასწავლო მეთოდოლოგიის შემუშავება;
- მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის ახალი სასწავლო მეთოდოლოგიის პრაქტიკული შეფასება;
- მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის ახალი სასწავლო მეთოდოლოგიის პრაქტიკული შეფასების საფუძველზე სასწავლო-მეთოდოლოგიური რეკომენდაციების შემუშავება;

## *მასალა და მეთოდები*

- მოძიებული, მათ შორის პედაგოგიკური, ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე შერჩეული მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის სწავლების მეთოდების პილოტირება და მათი შეფასება;
- პილოტურ სასწავლო პროგრამის ექსპერტული ფსიქოლოგიური ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
- მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის სწავლების მეთოდოლოგიაში კომპიუტერული ტექნოლოგიების ინტეგრირების შესაძლებლობისა და ეფექტიანობის დადგენა.

## *მოსალოდნელი შედეგები*

- ორიგინალური მეთოდების ადრე არსებულ შერჩეულ მეთოდებთან ინტეგრაციის საფუძველზე მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის სწავლების ადექვატური მეთოდოლოგიის შემუშავება, რაც

საფუძვლად დაედება ფსიქოლოგების მიერ შეფასებულ, ეფექტიან, სტუდენტებისათვის მისაღებ სასწავლო პროგრამას. ეს ხელს შეუწყობს სტუდენტებში თავისუფალი და თანამედროვე აზროვნების ჩამოყალიბებას;

- მოძიებული ლიტერატურის და პილოტირების შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთება არქიტექტურული კომპოზიციის სწავლების მნიშვნელობა და აუცილებლობა არქიტექტურის, ქალაქგეგმარების, დიზაინის, ინტერიერის სტუდენტების სრულფასოვან სპეციალისტებად ჩამოყალიბებაში. ამასთან, დადგინდება ამ სპეციალობებში სტუდენტების მომზადებისათვის სპეციფიური და განსხვავებული მიწოდების აუცილებლობა;
- თანამედროვე არქიტექტურასა და სამშენებლო სფეროში ახალი სამშენებლო მასალების შემოსვლის ფონზე, ხასიათის, ფერისა და ფაქტურის მიხედვით მათი საშუალებების გამოვლენის მიზნით და მასალის სპეციფიკის ჩვენებით შესაბამისი ახალი მოცემულობების შექმნის აუცილებლობის ჩვენება;
- დადგინდება მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის სწავლებაში კომპიუტერული ტექნოლოგიების ინტეგრირების შესაძლებლობა და ეფექტიანობა.



## გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

1. А. Иконников, Г.Степанов "Основы архитектурной композиции " М. *Искусство*, 1971;
2. Степанов А.В и др. Объемно- пространственная композиция. М.,1993г. с. 7;
3. Степанов А.В., Иванова Г.И., Нечаев Н.Н. Архитектура и психология. М., 1973, с.179;
4. Хан-Магомедов С.О. ВХУТЕМАС. М., 1995;
5. Усов В.Р. Вводные макетно-графические упражнения в курсе основ архитектурного проектирования как средство развития пространственных представлений. *Канд. дис. М.*, 1980;
6. Хан-Магомедов С.О. В.Ф. Кринский и архитектурное течение - рационализм. *Советское изобразительное искусство и архитектура 60-70-х годов. М.*, 1979;
7. Кринский В.Ф., Ламцев И.В., Туркус М.А. и др. Объемно-пространственная композиция в архитектуре. М., 1975;
8. Мальгин В.И. Пространство в архитектурной композиции. *Вопросы теории и методики преподавания в курсе ОПК. Канд. дисс.*,1977;
9. Нестеренко А.А. Особенности построения и гармонизации объемной композиции в архитектуре. *Канд. дисс. М.*, 1984;
10. Коновалов Ю.В. Ритмические закономерности в архитектурно-пространственной среде. *Кандидатская диссертация. М.*, 1971;
11. Моор В.К. Архитектурное пространство как центральная категория профессионального мышления. *Канд. дисс. М.*, 1983;
12. Усов В.Р. Вводные макетно-графические упражнения в курсе основ архитектурного проектирования как средство развития пространственных представлений. *Канд. дис. М.*, 1980;
13. Коротковский А.Э. Основы архитектурной композиции. М., 1974;
14. Метленков Н.Ф. Роль пространственного моделирования в интенсификации процесса обучения архитектурному проектированию. *Канд. дисс. М.*, 1978;
15. Иовлев В.И. и др. Архитектурно-композиционное формообразование. *Архитектон. Екатеринбург.*, 2000;
16. Шубников А.В.,Копчик В. Симметрия в науке и искусстве. *Москва, изд. Наука*, 1972;
17. Смолина Н. Традиции симметрии в архитектуре. *Москва, Стройиздат.*, 1990;
18. Азгальдов Г. Численная мера и проблемы красоты в архитектуре. *Москва, Стройиздат.*, 1978;

19. Малахов С.Л. Введение в творческий процесс проектирования на начальном этапе архитектурной подготовки. *Канд. дисс.*, 1980;
20. Дембич А.Л. Проектный анализ в системе архитектурного проектирования. *Канд. дисс.*, 1985;
21. Степанов А.В., Нечаев Н.Н., Малахов С.А. Введение в проектирование. *М.*, 1982;
22. Бархин Б.Г. Методика архитектурного проектирования в системе архитектурного образования. *М.*, 1969;
23. Малахов С.Л. Введение в творческий процесс проектирования на начальном этапе архитектурной подготовки. *Канд. дисс.*, 1980;
24. Некрасов А.И. Теория архитектуры. *М.*, 1994;
25. Николаев Б. К вопросу об архитектурно-художественном образовании. *Зодчий №7.*, 1905;
26. Хан-Магомедов С.О. Пропедевтика "Пространство". *М.*, 1995;
27. Минервин Г.Б. Значение пропедевтических курсов для подготовки художников-конструкторов. *Художественно-конструкторское образование №2. М.*, 1972;
28. Лежава И.Г. Функция и структура формы в архитектуре. *Док. дисс.*, 1987;
29. Иконников А.В., Степанов Г.П. Основы архитектурной композиции. *Искусство М.*, 1971;
30. Араухо И. Архитектурная композиция. *М.*, 1982;
31. Давыдов В.В. Проблемы развивающего обучения. *Педагогика, М.*, 1986;
32. Гальперин П.Я. Введение в психологию. *М.*, 1976;
33. Каган М.С. Морфология искусства. *М.*, 1972;
34. Ремизова Е.Р. От Витрувия до Винтури. Эволюционный взгляд на педагогику композиционного творчества в архитектуре. *Архитектура мира №5. М.*, 1996;
35. ფიფია ე. არქიტექტურული კომპოზიციის შესავალი. *გამომცემლობა "განათლება", თბილისი*, 1989;
36. ბოსტანაშვილი შ. არქიტექტურული კომპოზიციისა და დაპროექტების მეთოდის სწავლების შესახებ. *არქიტექტურული განათლების საწყისები (დამხმარე სახელმძღვანელო) ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა*, 1997;